ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9724332001**

თარიღი:**27/11/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი N07

დ.ლენტეხი 25.11.2024წ.

მიმდინარე წლის 25 ნოემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11 (თერთმეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 7 წევრი. ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადებული შენიშვნების განხილვა.

/მომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/.

2.სხვადასხვა.

შენიშვნა დღის წესრიგთან არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 14 ნოემბერს მერიიდან შემოვიდა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, აღნიშნული პროექტი განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შემდეგი შენიშვნები:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ა(ა)ი პირების თანამშრომლების სახელფასო სარგოს 10% -ით მატება;

2.სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის მეთოდური სამუშაო მასალებისთვის თანხის დამატება;

3. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ბიუჯეტის გადასახდელებში განსაზღვრულია თანხის კლება და მატება მუხლების მიხედვით, შესაბამისად აუცილებელია წარმოდგენილი იქნას მერის ახსნა-განმარტებითი ბარათი ამ საკითხთან მიმართებაში, თუ რამ განაპირობა აღნიშნული პროცესი.

კერძოდ:

1.ა(ა)იპ ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი- 1700 ლარით მეტი;

2.ა(ა)იპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა - 600 ლარით ნაკლები;

3.ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება -- 800 ლარით ნაკლები;

4.ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 300 ლარით მეტი;

5. ა(ა) იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება -16 100 ლარით ნაკლები;

6. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 7300 ლარით მეტი;

7.სპორტული ღონისძიებების დაფინანსება -7200 ლარით ნაკლები;

8. საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლში, კერძოდ დანამატის მუხლში გათვალისწინებული იქნას საკრებულოს აპარატის 9 (ცხრა) თანამშრომლის დანამატი - თანხით 9 000 (ცხრა ათასი) ლარი;

აზრი გამოთქვეს: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ ჩვენმა კომისიამ განიხილა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმსჯელეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნას ტერიტორიულ ერთეულებში დამონტაჟებული გარე განათების მოვლა-შენახვისთვის და რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯებისთვის თანხის დამატება;

აზრი გამოთქვეს: ფრაქციამ ,, მოქალაქეები საქართველოსთვის“ სხდომაზე განიხილა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, ფრაქციის წევრებმა იმსჯელა შენიშვნებთან დაკავშირებით - როგორც ცნობილია ჩვენს რაიონში მწვავედ დგას მაწანწალა -უპატრონო ძაღლების პრობლემა და თუ არის შესაძლებლობა გათვალისწინებული იქნას 2025 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უპატრონო - მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამის მუხლში დაფინანსება;

ბიუროს წევრებმა შეაჯამა აღნიშნული კომისიების და ფრაქციის მიერ მომზადებული შენიშვნები და მიიღეს გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს მიერ მომზადებულ შენიშვნებთან ერთად დაუბრუნდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს შემდეგი სახით:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ა(ა)ი პირების თანამშრომლების სახელფასო სარგოს 10% მატება;

2.სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის მეთოდური სამუშაო მასალებისთვის თანხის დამატება;

3. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ბიუჯეტის გადასახდელებში განსაზღვრულია თანხის კლება და მატება მუხლების მიხედვით, შესაბამისად აუცილებელია წარმოდგენილი იქნას მერის ახსნა-განმარტებითი ბარათი ამ საკითხთან მიმართებაში, თუ რამ განაპირობა აღნიშნული პროცესი.

კერძოდ:

1.ა(ა)იპ ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი- 1700 ლარით მეტი;

2.ა(ა)იპ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა - 600 ლარით ნაკლები;

3.ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება -- 800 ლარით ნაკლები;

4.ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 300 ლარით მეტი;

5. ა(ა) იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება -16 100 ლარით ნაკლები;

6. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 7300 ლარით მეტი;

7.სპორტული ღონისძიებების დაფინანსება -7200 ლარით ნაკლები;

8. საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლში, კერძოდ დანამატის მუხლში გათვალისწინებული იქნას საკრებულოს აპარატის 9(ცხრა) თანამშრომლის დანამატი - თანხით 9 000 (ცხრა ათასი) ლარი;

9.გათვალისწინებული იქნას ტერიტორიულ ერთეულებში დამონტაჟებული გარე განათების მოვლა-შენახვისთვის და რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯებისთვის თანხის დამატება;(ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის ოქმი)

10.გათვალისწინებული იქნას 2025 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უპატრონო - მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამის მუხლში დაფინანსება.(ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის სხდომის ოქმი).

ბიუროს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი შენიშვნები.

ღია კენჭისყრით:

მომხრე - 11;

წინააღმდეგი -0.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დამთავრდა დღის 14 საათსა და 15 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი